ოქმი№1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს"-ს სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2024 წლის 20 ნოემბერს.

**სხდომა დაიწყო** 14:00 საათზე, დამთავრდა 14:50 საათზე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ფრაქციის წევრები - ლევანი ჯინორია, ინგა ქარდავა, საბა ოდიშარია, ლევანი უჩანეიშვილი, ზაზა ნაჭყებია, ირაკლი კალანდარიშვილი, ბადრი კალანდარიშვილი, ზაზა ყურაშვილი, მ. გვიჩია, ბ. ხურცია, შ. კოკაია.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** საკრებულოს წევრი, ფრაქციის თავმჯდომარე - ლევანი ჯინორია.

**სხდომის მდივანი:** საკრებულოსა და ფრაქციის წევრი - ბადრი ხურცია.

დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე - ლ. ჯინორია

წარმოდგენილ დღის წესრიგს ეყარა კენჭი (მომხრე- 11; წინააღმდეგი-0), სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" სხდომა შეუდგა მუშაობას წარმოდგენილი დღის წესრიგის მიხედვით.

**მოისმინეს:** 1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე - ლ. ჯინორია

მომხსენებელმა ფრაქციის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" განმარტებით ბარათთან ერთად.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილად მიაჩნიათ, დადგენილების პროექტში - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", გათვალისწინებულ იქნეს:

1. ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობა.

2. ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობა
3. ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების ამორტიზებული სახურავის პროექტის შეძენა და შესაბამისი სამუშაოების შესრულება.
4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუჯეტიდან კონკურსისათვის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისათვის" სუბსიდირების თანხა განისაზღვროს 25 ათასი ლარი.
5. ჭავჭავაძის ქუჩის გამწვანება.
6. რუსთაველის ქუჩა N168ა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობა.
7. ცენტრალურ პარკში და აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე უსინათლოთათვის ადაპტირებული საფეხმავლო ბილიკის მოწყობა.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე: -11; წინააღმდეგი: 0), სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტში გათვალისწინებულ იქნეს:

1. ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობა.
2. ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობა
3. ა.(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების ამორტიზებული სახურავის პროექტის შეძენა და შესაბამისი სამუშაოების შესრულება.
4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუჯეტიდან კონკურსისათვის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისათვის" სუბსიდირების თანხა განისაზღვროს 25 ათასი ლარი.
5. ჭავჭავაძის ქუჩის გამწვანება.
6. რუსთაველის ქუჩა N168ა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობა.
7. ცენტრალურ პარკში და აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე უსინათლოთათვის ადაპტირებული საფეხმავლო ბილიკის მოწყობა.

სხდომის თავმჯდომარე: ლევანი ჯინორია

სხდომის მდივანი: ბადრი ხურცია